



3685-01-2-201212141158



N 01/3685

14/12/2012

საქართველოს პრეზიდენტს

ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, გაახლებთ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულების შესრულების თაობაზე.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

კახა კალაძე

მინისტრი

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო



3703-01-2-201212171325



N 01/3703

17/12/2012

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო დავით,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, გაახლებთ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულების შესრულების თაობაზე.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

კახა კალაძე

მინისტრი

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2012 წლის ანგარიში, სამინისტროში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ

2012 წლის განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 60 განცხადება შემოვიდა, აქედან 2 განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი ითქვა, რადგანაც მოთხოვნილი დოკუმენტები მიჩნეულია კომერციულ საიდუმლოებად. დანარჩენ განცხადებებზე სამინისტროს მიერ გაცემულ იქნა პასუხები და წარდგენილ იქნა მოთხოვნილი ინფორმაციები. ამასთან, მათი გარკვეული ნაწილი ეხებოდა სსიპ “ბუნებრივი რესურსების სააგენტო”-ში დაცულ ინფორმაციას. შესაბამისად, ასეთ განცხადებებზე რეაგირება აღნიშნული ორგანიზაციის მეშვეობით განხორციელდა.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადებასთან დაკავშირებით შემოვიდა 1 საჩივარი რომელიც ამ დროისათვის წარმოებაში იმყოფება.

საჯარო მოხელეების მიერ კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.